

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადაზე რეგისტრაცია მალე დასრულდება.  
დარეგისტრირდი, ეწვიე საიტს: WWW.KINGS.GE

წარმოგიდგენთ ტესტის რამდენიმე ნიმუშს, ოლიმპიადაზე დაგხვდებით 35-40 საკითხი.

**ყურადღებით წაკითხეთ სულხან-საბას იგავ-არაკი „მეფე და ავსიტყვა“ და უპასუხეთ კითხვებს:**

მეფე ვინმე იყო და ჰყვა კაცი ერთი ავსიტყვა, რომე მისის პირით კარგი სიტყვა არ აღმოვიდის.

მეფე ხუთის წლის სავალს ლაშქრად მივიდოდა და ავსიტყვას უთხრა: ერთი კარგი სიტყვა სთქვი და მუნით მოვალ, კაბას მოგცემო!

ავსიტყვამ უთხრა: რომ ვეღარ მოხვიდე, ვინლა მომცემს და კარგი სიტყვაც დაგვკარგო?

წავიდა მეფე. ორი წელი გამოხდა. ავსიტყვამ მეფის უნახაობა ვეღარ გასძლო და წავიდა მათად ნახვად.

რა მივიდა, მეფემ უწინარეს ნახა და ვაზირს უბრძანა: აჰა, ყიამყრალი მოვა და ნურას ამბავს ჰკითხავთ, ავს იტყვის. შენ ჩემი გოშის ამბავი ჰკითხეო!

მოვიდა და მეფის წინ მიწას აკოცა.

ვაზირმან ჰკითხა: კაცთმაწყინარო, მეფის გოშია რასა იქმსო?

მან უთხრა: მოკვდაო.

ვაზირმან ჰკითხა: რა სჭირდაო?

მან უთხრა: მეფის თეთრი აქლემი მოკვდა, მისი მძორი ჭამა და მით მოკვდაო.

- აქლემი რამ მოკლაო?

მან უთხრა: მეფის დედა ამ სოფლით გარდაიცვალა და იგი ავკიდეთ საფლავამდის და მან მოკლაო.

მეფეს გულთა ცეცხლი მოედვა და ჰკითხა: იგი რამ მოკლაო, რა დაესენაო?

მან მოახსენა ტირილით: პირმზე დედოფალმან საწუთრო დასცალაო და მისმა ნადველმან მოკლაო.

მეფემ წვერგლეჯით ჰკითხა: მას რა დაესენაო?

მან მოახსენა: თქვენი ძენი და ასულნი ყვავილმან გაწყვიტნა და სიმწარეს ვეღარ გაუძლო.

მეფემ ჰკითხა თავში ცემით: მაშ, შენობა აღარა დარჩებოდა რაო?

მოახსენა: მე რა იქ ვიყავ, თქვენს სასახლეში ბზესა ჰყრიდენო და აწ აღარა ვიციო.

თურე მისი სიტყვა ყველა ტყუვილი იყო და კაცთა საწყენად მოიგონის.

1. ვინ იყო ავსიტყვა?
  - ა. მეფის ერთ-ერთი მსახური
  - ბ. უფლისწული
  - გ. ტახტის მემკვიდრე
2. რამდენი ხნის შემდეგ აპირებდა მეფე ლაშქრობიდან დაბრუნებას?
  - ა. ერთი თვის შემდეგ
  - ბ. ექვსი დღის შემდეგ
  - გ. ხუთი წლის შემდეგ

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადაზე რეგისტრაცია მალე დასრულდება.  
დარეგისტრირდი, ეწვიე საიტს: WWW.KINGS.GE

3. რა სთხოვა მეფემ ავსიტყვას?
  - ა. მისთვის ტანსაცმელი მოემზადებინა.
  - ბ. კარგი ამბავი ეცნობინებინა მისთვის.
  - გ. მის დაბრუნებამდე არსად წასულიყო.
4. „ავსიტყვამ მეფის უნახაობა ვეღარ გასძლო და წავიდა მათად ნახვად.“  
როგორ გესმით ხაზგასმული ფრაზა?
  - ა. მეფის ნახვის სურვილს ვერ გაუმკლავდა.
  - ბ. მეფის ნახვის სურვილი აღარ ჰქონდა.
  - გ. მას შემდეგ მეფე აღარ უნახავს.
5. „აჰა, ყიამყრალი მოვა და ნურას ამბავს ჰკითხავთ, ავს იტყვის.“  
„ყიამყრალი“ იგივეა, რაც
  - ა. ავი ენის პატრონი
  - ბ. უწესრიგოდ ჩაცმული
  - გ. დაჯილდოებული
6. ავსიტყვა „მოვიდა და მეფის წინ მიწას აკოცა.“  
რაზე მიუთითებს მისი ეს ქმედება?
  - ა. მიანიშნებს, რომ ტყუილის თქმას აპირებს.
  - ბ. მეფეს პატივს სცემს.
  - გ. მეფისგან დასჯას ითხოვს.
7. რომელი აფორიზმი გამოხატავს იგავის მთავარ სათქმელს?
  - ა. გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.
  - ბ. ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.
  - გ. სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი.



კინგსის ქართული ენის ოლიმპიადაზე რეგისტრაცია მალე დასრულდება.  
დარეგისტრირდი, ეწვიე საიტს: WWW.KINGS.GE

**ბონუს სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:**

16. „ანგელოზების დაფრთხობა“ იგივეა, რაც:  
ა. შეშინება                      ბ. სიჩუმე                      გ. გაქცევა
17. „არაფერ შუაშია“ ანუ  
ა. მთავარი პირია              ბ. პასუხისმგებელი არ არის              გ. უპასუხისმგებლოა
18. „აღგვა პირისაგან მიწისა“ არ არის  
ა. მოსპობა                      ბ. განადგურება              გ. შიში
19. „ყურსაც არ იბერტყავს“ ანუ  
ა. ექიმთან არ მიდის              ბ. არაფრად აგდებას              გ. ზარმაცია
20. „ბანის მიცემა“ იგივეა, რაც  
ა. გადასახლება              ბ. აყოლა                      გ. გამძლოლა